საქართველო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-47-40 №1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-47-40

N 890
23/09/2015

890-01-4-201509232005

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი -მერცხალი"-ს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელოქტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებას თანდართული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

ვბრძანებ:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი - მერცხალი"-ს (ს/კ 437064515), გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, მის სარგებლობაში არსებული სტადიონის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა

განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის წესით, ღირებულებით 55152 (ორმოცდათხუთმეტიათასასორმოცდათორმეტი) ლარის ფარგლებში.

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბეგლარ სიორიძე

მერი

.